თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ო ქ მ ი №17

დ. თიანეთი **2010 წლის 6 ოქტომბრის**

ესწრებოდნენ:
სხდომის თავმჯდომარე: გივი წიკლაური - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი: ხალიანა არჩემაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

საკრებულოს წევრები: გიმზერ გოჯიაშვილი, გოჩა ჯანგირაშვილი, ზაზა ბადურაშვილი, იაგო შარაზადიშვილი, ზურაბ დავითაშვილი, იოსებ ფილაური, ზვიად ჯაბანიშვილი, მერაბ ქეშიკაშვილი, თეიმურაზ ცოცხალაშვილი, თამაზ პატარაშვილი, ირაკლი დიდებაშვილი, გრიშა მინდიკაური, ბესიკ გიგაური, ნუკრი ქავთარაძე, მერაბ ძებნიაური

ინგა ჭყრუნიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

დღის წესრიგი

1. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1-კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეების (რომელთა განთავსება\მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ”

მომხსენებელი: გივი წიკლაური

2. „არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმირების დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

3. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვისა და შედგენის წესის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

4. „ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში (თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: გივი წიკლაური

5. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის განხილვა – დამტკიცების შესახებ"

მომხსენებელი: გივი წიკლაური

6. „თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე".

მომხსენებელი: გივი წიკლაური

7. ,, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოციალურად და ეკონომიურად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ."

მომხსენებელი: გივი წიკლაური

მოისმინეს: 1. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1-კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეების (რომელთა განთავსება\მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ"

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: თეიმურაზ ცოცხალაშვილმა, მერაბ ქეშიკაშვილმა,

ღია კენჭისყრის შედეგად

თიანეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ღონისძიებათა სრულყოფის მიზნით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჯ" ქვეპუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო

პირობების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. განისაზღვროს I -კლასს დაქვემდებარებული შემდეგი სახეობების შენობა-ნაგებობები, რომელთა განთავსება მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის პროცედურების გარეშე.

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 2. „არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმირების დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, გრიშა მინდიკაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის შესახებ მითითების თანდართული ფორმა თანახმად დანართი 1-სა.

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 3. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვისა და შედგენის წესის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იოსებ ფილაურმა, გიმზერ გოჯიაშვილმა

კენჭისყრის შედეგად

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 239-ე მუხლის, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს № 669 ბრძანების საფუძველზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს:

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის თანდართული ფორმა, თანახმად დანართი №1-სა.

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 4. „ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში (თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, თეიმურაზ ცოცხალაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20–ე მუხლის შესაბამისად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილებები თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში „თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" კერძოდ:

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 5. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის განხილვა – დამტკიცების შესახებ"

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გიგაურმა, ნუკრი ქავთარაძემ

ღია კენჭისყრის შედეგად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 49-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის მეოთხე კვარტლის თანდართული სამუშაო გეგმა.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 6. „თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე“.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, იოსებ ფილაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტის თანახმად,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ცნობად იქნეს მიღებული თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის უფროსის შ. სინჯარაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 7. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის სოციალურად და ეკონომიურად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.“

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: გიმზერ გოჯიაშვილმა, ზაზა ბადურაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოქალაქეთა სოციალური დახმარების მოთხოვნაზე შემოსული განცხადებების განმხილველი კომისიის სხდომის ოქმის (№7 09.09.2010წ.) საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის, საავადმყოფოდან წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამის ანგარიშზე გადარიცხვით ფინანსური დახმარება გაეწიოს: ა). სოფელ ომარაულებში მცხოვრებ გიორგი მაჩურიშვილს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ბ). დაბა სიონში მცხოვრებ მარიამ შარმიაშვილს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

(განკარგულება თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარე გ. წიკლაური